შინაური საქმეები

№ 8

კვირა, 21 თებერვალი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: ათეიზმი, მისი წარმოშობა, და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე—ეფ. სართანიძისა; კიდევ ყოველად სამღვდელო გაბრიელზე—მღ. მ. კელენჯერიძის; მცირე შენიშვნა სამღვთო წერილის წიგნების შესწორების შესახებ—ბაჯითელისა; ვაი მეტი ჭკუისაგან—კონსერვატორისა; იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება—უკიდურესისა; კვირიდამ კვირობამდე.—ღვთის მსჯავრი—ვანოსი; მოწ. ამბაბი—კ. წუთისოფელისა

ჟურნალი „**შინაური საქმეები**“ წლიურ ხელმომწერლებს დაურიგებს **პრემიათ** შაფფის თხუზულებას „**იესო ქრისტე**“ **საკვირველება ისტორიისა**.

ყოველკვირეულ გაზეთ

„**შინაურ საქმეებზე**“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—გაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ათეიზმი, მისი წარმოშობა, და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე*).

მაგრამ ურწმუნონი, მიუხედავად ამისა, ძალიან ხშირად წამოაყენებენ ხოლმე თავიანთ ათეიზმს, როგორც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას. ამ გვარადვე განათლებას სთვლიდნენ ათეიზმის მიზეზად წარსულ დროის ზოგიერთი აპოლოგეტები და მორწმუნე მოაზრენი (ბეკონი, სპიცელი და სხვ). იმ საყოველთაო ფაქტის მიხედვით, რომ გარეშე ბუნება გვიმტკიცებს, თუმც ყველის ერთნაირის სიცხადით არა, რომ არსებობს უმაღლესი სულიერი არსება—ღმერთი, ასეთი მითითება მეცნიერებაზე და განათლებაზე-მაშასადამე გაუგებრობაა. თუ მეცნიერება მართლა იხრება ღვთის უარყოფისკენ, სჩანს იგი დასდგომია ცდომილ გზას, შევიწროებულია იგი რითიმე თავის განვითარებაში. ჯერ კიდევ ბეკონი ამტკიცებდა, რომ სუსტი გაცნობა ბუნების-მეცნიერებასთან იზიდავს ხალხს ულვთოებისკენ, ხოლო საფუძვლიანი მისი შესწავლა კი კაცს აახლოვებს ღმერთთანო, ვინაიდგან კაცის ჭკუა, როდესაც ჩერდება მოვლენათა არა უმთავრეს და განცალკევებულ მიზეზებზე, კმაყოფილება მით და შორს აღარ მიდის. მაგრამ თუ მან განაგრძო განხილვა ამ მოვლენათა და მათი კავშირისა მაშინ უეჭველად უნდა აღიაროს განგება და ღვთაება[1]).—ასეთი შენიშვნა ბეკონისა მშვენივრად ჰხსნის საქმეს.

მაშინ, როცა მიუდგომელ კაცს, როგორც უსაშველო გრძნობის, ისე ღრმა გამოკვლევის დროსაც, მთელი ბუნება ეუბნება თვის დამოკიდულებაზე შემოქმედ და გამგებელ ღვთისგან, ზოგიერთები ემპირიულ გამოკვლევის დროს მართლა ჩერდებიან ბუნების მოვლენათა ბუნებრივ პირობებზე—მათი „მეორე რიგის მიზეზებზე“. „ყველაფერი უბრალოდ ეჩვენება იმას, ვინც მიჩვეულია უბრალოდ უყუროს ყველაფერს“, ამბობს თავის ნაწერებში ნ. ივ. პირო-

[1]) De atheismo, p. 1164.

+ საპატრიარქოს +

გოვი. „ჩვენ ვხედავთ, რომ ფოთოლი იზრდება, თვალ-ყურს ვადევნებთ თუ როგორ იზრდება, ვიცით უჯრედების მოყვანილობა და მათი შემადგენლობა; ყოველ ნაბიჯზე ყურადღებას ვაქცევთ, თუ როგორ იყოფიან და იშლებიან ეს უჯრედები, მთელი მექანიზმი მცენარის პროცესისა თვალ-წინ გვეშლება, როგორც ხელის გულზე. მაგრამ რა ძალა აიძულებს ფოთოლს გაიზარდოს ასე და არა სხვანაირათ? რა აიძულებს მცენარეს, ან ცხოველს მიიღოს ასეთი თუ ისეთი სახე? ყველა ეს და ათასი სხვა ამგვარი კითხვები, გამოუცნობელნი ჩვენ მიერ ნივთთა არსების უცოდინარობის გამო, ამბობენ, რომ ჩვენ გარემოცულნი ვართ საიდუმლოებით, და თუ ყველა ეს საიდუმლოება ჩვენ არ მიგვაჩნია სასწაულად, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მათ ვხვდებით ყოველ ნაბიჯზე. ჩვენ ყველა ამეებს სასწაულებს კი არ ვეძახით, არამედ ბუნების კანონებზე დამყარებულ მოვლენებს[2]).

ამ ნაირად, უყურებენ რა მთელ მსოფლიოს — როგორც გამოცხადებას მისივე საუკუნო და უცვლელ კანონების და ძალისა, — ზერელე მკვლევარნი ამბობენ: „რად გვჭირია ღმერთი, როდესაც უიმისოდაც ყველაფერი შესაძლოა აიხსნას უბრალოდ და ადვილად?“ ო უეჭველია ასეთი შეხედულება ბუნებაზე მოწმობს მათი მეცნიერულ გამოცდილების ნაკლულევანებას და მათს ბეცობას მოვლენათა ახსნაში. — რა არის უცვლელი ძალა და კანონები ბუნებისა, საიდგან არის თვით ბუნება? ამ და სხვა ამისთანა კითხვებზე უღვთო მსწავლულებს არ შეუძლიანთ დამაკმაყოფილებელი პასუხი მოგვცენ და თითქმის არც კი ფიქრობენ ასეთ კითხვებზე. „ისინი, ამბობს ლიბიხი, — საბუნების მეტყველო მეცნიერებათა გამოკვლევის კენწეროებს ებღაუჭებიან და ჰგონიათ, რომ სრული უფლება აქვთ აუხსნას უცოდინარ და გულუბრყვილო ხალხს, თუ როგორ წარმოიშვა თავის თავად მთელი ქვეყანა და სიცოცხლე და თუ რამდენი რამე იცის კაცმა უუმაღლეს საგნებზე“[1]). მაშასადამე ჭეშმარიტ მეცნიერებას კი არა, რომლის უკეთეს წარმომადგენელთ ღრმად სწამდათ ღმერთი (როგორც მაგ., კოპერნიკი, გალილეი, ლინეი, პასკალი, კეპლერი, ნიუტონი, კუვიე, ფარადე, ლიბიხი, ფეხნერი, მედლერი, ფაი, ვირხოვი, ი. მიულერი, გუმბოლდტი, არაგო და სხვ.[2]) — არა ჭეშმარიტ მეცნიერებას, არამედ ზერელობას მეცნიერებაში მართლაც შეუძლიან მიიყვანოს კაცი ათეიზმამდი. ათეისტები ბიუხნერი, ფოხტი, მოლეშოტი და სხვ. სრულებით არ ითვლებიან პირველ ხარისხოვან ბუნების მეტყველებად. საზოგადოთ, მსწავლულთა ანგარიშით, 92% ბუნების მკვლევართა და ფილოსოფოსთა ღრმად მორწმუნეა ღვთისა, 6% ასე თუ ისე გულგრილად უყურებს სარწმუნოებას და მხოლოდ 2% ილაშქრებს სარწმუნოების წინააღმდეგ[3]).

მეორე ცრუ მიმართულება საბუნების მეტყველო მეცნიერებაში, რომელიც დევნის შეგნებიდან ღვთის იდეას, არის ჩვეულება მხოლოდ და მარტოდ მარტო გრძნობადი მატერიალურ საგნების გამოკვლევისა. გარეგანი ბუნება უმოწმებს რა კაცს ღვთის არსებობას, იმავე დროს თხოულობს მისგან წაიკითხოს ეს გამოცხადება შინაგან სულიერ სინათლეზე. მაგრამ ვინც კი მთელ თავის სიცოცხლეს სწირავს მხოლოდ ატომებს, მათ თვისებათა და მექანიკურ შეერთებათა გამოკვლევას, ის ხშირად ივიწყებს, რომ ბუნების ბრმა ძალების უკან მოქმედობს უმაღლესი სულიერი არსება და ამასთან ერთად კაცის შინაგანი ნიჭი — ღვთის ცნობისა ბუნებაში, ვერ პოულობს კანონიერ დაკმაყოფილებას და სუსტდება. ასე ნელ-ნელა კაცი თავის ცალმხრივი და ცრუ მოქმედებით შეუმჩნევლად შეიძლება მივიდეს ღვთის უარ-ყოფამდე. ასე ემართებოდა სიყმაწვილეში ხსენებულ ხირურგს ნ. ივ. პიროგოვს, რომელმაც, როგორც თვით შენიშნავს, „ზედმიწევნით იცოდა თავისი მეცნიერება“[1]). თუ ადა-

[2]) Руская старина, 84 г. т. 44, 18.р.

[1]) Письма о хиліи, Либиха, изд. Алексѣева. 61 г. пис. 24 289.

[2]) სახელ განთქმული დარვინიც კი სცხოვრობდა, როგორც შვილი თავის ეკლესიისა. пр. об. 85, 1; ст. Гусева „Христ. въ отнош. къ фил. и наук“.

[3]) Ptennigsdvt. Chvistusim modeanen Ceistesleben, 1903, s. 80.

[1]) „Руская старина“, 44 стр. 450.

მიანები, რომელნიც უზომოდ ეძლევიან ბუნების მეცნიერებათა შესწავლას, ხანდისხან, მოისურვებენ თითქოს მიუდგომლად გადასწყვიტონ კითხვები ზესთა-ბუნებრივ ქვეყნისა, აქაც კი ესენი ცდილობენ იარონ თავიანთი ჩვეულებრივი (ინდუქტიურ და ემპირიულ) მეთოდით, რომლის ძალით ჭეშმარიტი არსებობა საგნისა უნდა იყოს დამყარებული რეალურ ფაქტებზე, ცდაზე და დაკვირვებაზე. ისინი არ აძლევენ მნიშვნელობას თითქმის ფსიხოლოგიურ ცდასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ცდა შინაგანია და არა გარეგნული. ერთად ერთ გამონაკლისს ამ კანონიდგან, მომხრეები წმინდა ემპირიზმისა (მატერიალურ ცდისა), ულოლიკოდ უშვებენ მათემაკისთვის და აღიარებენ აქ დედუქციის და რაციონალურ დამტკიცებათა მნიშვნელობას. უეჭველია უხილავ ქვეყანასთან ასეთ დამოკიდულებით მათი გამოკვლევა ამ სფერაში არ შეიძლება წარემართოს. ღვთის არსებობას ყველაზე უწინ მოწმობს შინაგანი ცდა, ან შინაგანი პირდაპირი გრძნობა მის არსებობისა და შემდეგ უკვე ეს ჭეშმარიტება შეიძლება აიხსნას რაციონალურად. ზოგიერთ ემპირიკებს არ უნდათ გაიგონ ეს და პირდაპირ უარ-ყოფენ ღმერთს. აი რატომ ლაპლასმა, დაათვალიერა რა ცა ტელესკოპით, როგორც თვითონ ამბობს „ვერსად ვერ ნახა ღმერთი.“ ცხადია რომ ასეთ თამამ დადგენილებაში მონაწილეობას არ იღებს ჭეშმარიტი მეცნიერება. „მეცნიერება,—ამბობს სტ. ჯევონსი[2])—არ უარ-ყოფს რომელიმე საგნის არსებობას მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეიძლება მისი არც აწონვა და არც გაზომვა.“ საბუნების მეტყველო მეცნიერებათა შემდეგ ათეიზმისკენ ჰხრის ადამიანს ზოგიერთი ცრუ მიმართულება ფილოსოფიურ აზროვნებისა, რავდენადაც იგი ეხება სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებას. ასეთია ყველაზე უწინ მატერიალიზმი, რომელიც აღიარებს, რომ ჭეშმარიტად არსებობს მხოლოდ საუკუნო მატერია. აქედგან პირდაპირ გადადის ქვეყნის შემქნელ ღმერთის უარ-ყოფაზე. ერთმა ნემეცმა ანოლოგეტმა სთქვა, რომ „მატერიალიზმი და ათეიზმი ტყუპი ძმები არიანო“[1]). მატერიალიზმის ნათესავ სენსუალიზმს ერთად ერთ წყაროდ ცოდნის შეძენისა მიაჩნია გარეგანი გრძნობა. აქედგან გამოჰყავთ ცრუ დასკვნა, რომ ზესთა ბუნებრივი, სულიერი ქვეყანა და მასთან ღმერთიც არ არსებობს. ამავე დასკვნამდე მიჰყავს პანტეიზმსაც, რომელიც სრულებით არაფრით არ არჩევს უხილავ ქვეყანას ხილულ ქვეყნისგან. ამ გვარად, მხოლოდ მსუბუქს და ცალმხრივ გამოკვლევას მეცნიერების სამეფოში, ემპირიულ საზღვრების ცოდნის შეუგნებლობას და ამასთან კერძო ფილოსოფოსთა უკიდურეს სისტემებს ჭეშმარიტად შეუძლიანთ ხანდისხან კაცი გადახრონ ათეიზმისკენ. მაგრამ ყოველი ჭეშმარიტება და მაშასადამე ღვთის არსებობის ჭეშმარიტებაც ცალმხრივობაზე მაღლა სდგას. „მეცნიერება,—ამბობს ჯევონსი[1]),—თუ სიმდაბლით და ჩვენი გონების განსაზღვრილების ჯეროვან შეგნებით დავიწყებთ მის შესწავლას, გვაძლევს მხოლოდ უფრო მაღალ და ფართო ცნებას შექმნის კითხვებზე,“ და გვიხსნის, უნდა დაუმატოთ, შემოქმედ-ღვთის არსებობას. „ბუნების შესწავლა,—ამბობს ლიბიხი,—არის გზა მოწიწებისადმი ქვეყნის დამბადებლის და გამგებლის წინაშე“[2]). ხანდისხან ათეიზმი აღმოცენდება ხოლმე სარწმუნოებრივ ნიადაგზე. ამ შემთხვევაში იგი თითქოს პროტესტია რომელიმე საზოგადოების დამახინჯებულ სარწმუნოებრივი ცხოვრების ფორმების წინააღმდეგ. ასე, მაგ., მეჩვიდმეტე საუკუნეში, დასავლეთში ათეიზმი გამოიწვია თითქოს კათოლიკეთა სამღვდელოების ფანატიზმმა და დასაძრახ ყოფა-ქცევამ. (ბართლომეს ღამე, ისპანიის ინკვიზიცია). ვსთქვათ, რომ ათეიზმი ხანდისხან შეადგენს რეაქციას სარწმუნოებრივ ცხოვრების დამახინჯების წინააღმდეგ. ეს მხოლოდ იმას ჰნიშნავს, რომ მას არ შეუძლია გაარჩიოს ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი ცხოვრება ცრუ სარწმუნოებრივ ცხოვრებიდგან და ულოლიკოდ უარ-ყოფს

[1]) Основы науки, перев. со 2 изд. Антоновича, стр. 712.

[1]) Чт. въ Общ. Люб. дух. просв, 78 г. Іюнь, ст.—„Атеизмъ“, X, X.

[1]) основы науки, 712.

[2]) письма о химіи, 35

დედა-აზრს სარწმუნოებისას—რწმენას ღვთისადმი. ამას გარდა ათეისტებს შეუძლიანთ თუ არა ხელახლა გახდენ ჭეშმარიტ მორწმუნეებად, რომ არ იყოს სარწმუნოებრივ ცხორებაში მათი ამაღელვებელი ანომალია? უეჭველია ვერა, რადგანაც მათი სარწმუნოება იქნებოდა მაშინ დაფუძნებული არა მათს საკუთარ შეურყეველ რწმენაზე სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, არამედ მხოლოდ ცივ შეგნებაზე, რომ სარწმუნოებას არ ხმარობენ ბოროტების ჩასადენ საშვალებად. ისინი ირწმუნებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ექნებოდათ მიზეზი არ ერწმუნათ. მაგრამ ასეთი რწმენა იგივე ათეიზმია, მხოლოდ დროებით ბაუმეღავნებელი. მაშასადამე ათეიზმი თავის დღეში არ შეიძლება იყოს მხოლოდ რეაქციათ სარწმუნოებრივ ცხოვრებაში უწესოების და ანომალიის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში იგი იბადება ზნეობრივ გრძნობის დასუსტების გამო და იკეთებს რეაქციის ნიღაბს, რომ—ასე ვსთქვათ—ესროლოს ტალახი სარწმუნოებას, რომელსაც უარყოფს. ამგვარად გავიცანით რა მიზეზები ათეიზმის აღმოცენებისა, ცხადია, რომ ათეიზმი არის სრულიად არა ბუნებრივი და თავის წარმოშობით ავადმყოფი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ათეიზმი ნამდვილად თითქმის შეუძლებელია. ათეიზმად უნდა ვიგულისხმოთ ძლიერი დაცემა სარწმუნოებრივ შეგნებისა და არა სრულიად მოსპობა მისი.

მაგრამ მიუხედავად მთელი თავის სიმახინჯისა, ათეიზმი ისწრაფვის გახდეს უნივერსალურ პრინციპად; ცდილობს თავის ხელში ჩაიგდოს და გარდაქმნას თავის გემოზე მეცნიერება და ცხოვრება, რომლებშიაც ჰხედავს უფრო შესაფერ ნიადაგს თავის განვითარებისთვის. სად ვეძებოთ შემაერთებელი წერტილი ათეიზმისა მეცნიერებასთან და რა მოსდევს მათ შეერთებას? საზოგადოთ მეცნიერების მიზანია შესწავლა, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ ბუნების მოვლენათა, მოძებნა კავშირისა ამ მოვლენათა შორის და ახსნა მათი მიმდინარეობის კანონებისა, აღმოუფხვრელი კითხვები, რომელნიც თანდაყოლილი აქვს კაცს,—„როგორ, რატომ და რისთვის?"—ეხება გარემო სინამდვილესაც. ამას ამტკიცებენ მუდმივი აღმოჩენანი ამ კითხვების ხელმძღვანელობით.

მაგრამ მიზანი ჩვენი ცოდნისა ითხოვს, რომ კაცმა, როდესაც იგი მოვლენათა ახსნაში გადადის ერთი მიზეზიდგან მეორეზე, იპოვოს პირველი დასაწყისი ერთი მეორისგან დამოკიდებულ მიზეზებში. დაუსრულებელი დამოკიდებულება მიზეზთა შეუძლებელია გონებისთვის და უნუგეშოც არის ქვეყნის მოვლენათა გამოკვლევაში,—საჭიროა გაჩერდეთ რამე საფუძველზე. ამისთვის აუცილებელია მივიღოთ ერთი აბსოლუტური მიზეზი, რომლიდგანაც შესაძლო იყოს აიხსნას მთელი მიზეზებრივი ჯაჭვი ქვეყნის მოვლენათა[1]). აზრი და სიცოცხლე, რომელთაც ვხედავთ მსოფლიოში, გვაიძულებენ მივიღოთ ამ მსოფლიოს მიზეზად—შემოქმედი—უმაღლესი გონიერი არსება, ე. ი. უნდა ვიწამოთ ღმერთი. ღვთის არსებობის რწმენაზე უნდა დაემყაროს ჭეშმარიტი მეცნიერება, რომელსაც სურს ნამდვილად ახსნას მოვლენანი; ამ დამოკიდებულ მიზეზებში ჭეშმარიტი მეცნიერება ჰხედავს დამოუკიდებელ და საყოველთაო მიზეზს—ღმერთს. და თუ მეცნიერება გაჰყვება ათეიზმს, მაშინ იგი დაანგრევს თავის მკვიდრ შენობას, რომელიც ეს რამდენიმე საუკუნეა სდგას შეურყეველად და ააშენებს ახალს—ფხვიერ ქვიშაზე... „ათეიზმთან,—ამბობს კათოლიკეთა მსწავლული უბახსი,—არ შეიძლება არავითარი ნამდვილი ცოდნა; ამ შემთხვევაში შეუძლებელია აიხსნას მოვლენანი, იმიტომ რომ მათი მიზეზი ვერ დააკმაყოფილებს გონებას"[2]). და მართლაც ათეიზმი არაფერს შეჰმატებდა მეცნიერებას გარდა ცნებათა ცთომისა და არევისა. ათეიზმის თანახმად მოვლენათა ახსნაში მეცნიერებას უნდა დაეშვა ან გაუგებარი ფარგალი მიზეზთა, ასე რომ პირველი (უმცროსი) მიზეზი შეიქნებოდა მასში საძირკვლად უკანასკნელ მიზეზისა (უფროსისა), და ან უნდა აღეარებინა შემთხვევითობა მაშინ, როდესაც ყველგან

[1]) пр. обозр., 1886 г. проф. В. Д. Кудрявцева—„Космол. доказ. бытья божія.

[2]) Theoqisgae... elementa, p. 23.

ვხედავთ მიზანშეწონილობას. ასეთ თუ ისეთ გარემოებაში მეცნიერება არსებობის უფლებას დაჰკარგავდა, რადგანაც ვერ ახსნიდა მოვლენებს და დაუწყებდა ყურებას მათ ზღაპრულ ბარ. მუნხგანზენის თვალით, რომელიც ვითომ თავის თავს თმებით მოათრევდა წყლიდგან, ამასთან ერთად მეცნიერება, როცა გახდება ათეისტური, დაჰკარგავს იმედს რომელიმე ჰეშმარიტების პოვნისას, რაც შეადგენს ადამიანის ცოდნის მიზანს. ჰეშმარიტება არის თანხმობა და არა იგივეობა ცოდნასა და არსს შორის. ადამიანის აზროვნებასა და ასეთ აზრებულ არსს შორის ასეთ თანხმობის ასახსნელად აუცილებელია აღვიარეთ მათი საერთო დასაწყისი და წყარო. მხოლოდ აღსარება უმაღლეს არსებისა, რომელმაც შეათანხმა არსი და ცოდნა, იძლევა ერთად ერთ ახსნას, რომ შესაძლებელია და არსებობს ჰეშმარიტება[1]). და თუ ათეიზმი უარყოფს ამ არსებას, მან უნდა უარყოს თვით ფაქტი ჰეშმარიტ ცოდნისა. ერთად ერთ შესაძლებელ მიზეზის მოშორებით შორდება მისი შედეგიც. თუ კი შეუძლებელია ჰეშმარიტი ცოდნა, მაშინ რაღა საჭიროა მეცნიერება? ამ გვარად კავშირი ათეიზმსა და მეცნიერებას შორის დამღუპველად მოქმედობს ამ უკანასკნელზე. ნამდვილადაც ასე იყო, როდესაც ათეიზმი გრძნობდა რა თავის უსაფუძვლობას ზნეობის მხარეში, ცდილობდა ფეხი მოეკიდებინა მეცნიერების ნიადაგზე, რომელიც ყველასთვის არ არის გასაგები, მაგრამ თითქმის ყველასგან კი პატივცემულია. ათეიზმი უძველეს დროიდან დაკავშირებული იყო მატერიალიზმთან (მატერიალისტურ ატომიზმთან), და ამ ბოლო დროს ეს კავშირი უფრო გამტკიცდა. მატერიალისტები ქადაგობენ, რომ მთელი ორგანიული და არა ორგანიული სიცოცხლე ვითარდება მხოლოდ ნივთიერების ატომებისგან. სული ადამიანისა არის ნაყოფი მის გრძნობათა; ტვინი ჰქმნის აზრებს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ხდება მატერიის მოძრაობა და სხვ. მაგრამ დადებითი მეცნიერების წარმომადგენელნი ძლიერ მტკიცედ ილაშქრებენ მატერიალიზმის წინააღმდეგ. „არსებობს რწმენა,—ამბობს ჯევონსი,—რომ ეგრედ წოდებული ბუნების კანონები მართვენ კაცს და მის შემომქმედს, რომ ბუნებას ამოძრავებს უცვლელი მექანიკური პრინციპები, რომელნიც მოქმედებენ ქვეყნის გაჩენიდგან და იმოქმედებენ მუდამ; ასეთ ცნებებს მე ვსთვლი ცდომილად და ზერეულად. ისინი გამომდინარეობენ ცრუ შეხედულობიდან მეცნიერულ დასკვნაზე და უეჭველ ცოდნის ხარისხზე[1]). „მატერიალიზმი ჰხსნის ერთ ამოცანას მეორეზე“—შენიშნავს გელებახი, როდესაც არჩევს მატერიალისტურ სწავლას სულზე[2]).

ეფ. სართანიძე.

მცირე შენიშვნა საღმრთო წერილის წიგნების შესწორების შესახებ.

ერთხელ განსვენებულმა პეტრე ეპისკოპოზმა ერთ კრებაში მოახსენა ეკზარხოსს და სხვებს იქ მყოფელთ: „ქართული საღმრთოწერილის წიგნები მთლად-ერთიანად სავსე არიან შეცთომებით, ხელში ასაღები არ არიან და კაცმა უნდა დაწვას იგანი“ო. როდესაც ჰკითხეს მათ მეუფეს, მაგალითათ, რა ადგილებია ასე დამახინჯებულიო, მოიყვანა დაბადებიდგან აბრაამის ძმისწულის სახელი, რომელსაც ერქვა „ლოტი“; ქართულ დაბადებაში „ლოთი“ არის დაბეჭდილიო. ამისთანა მაგალითი მოგვიყვანა მამა კალისტრატემ თავის პასუხში ბატონ ხელის წინააღმდეგ. „დიფლვის“ მაგიერ „დაკვლის“ სწერიაო. ბატონებო! ამნაირი კორრექტურული შეცდომები რომელი ხალხის საღმრთო წერილის წიგნებში არ მოიპოვებიან, მაგრამ ვინ გაიძახის: „ჩვენი საღმრთო წერილის წიგნები უნდა დავწვათ და ხელმეორეთ უნდა გადავთარგმნოთ“ო. მით უმეტესად ჩვენ ქართველებს არ გვეთქმის ეს. თუ ჩვენმა წინაპ-

---

[1]) пр. обозр., 1886 г. ст- проф В Д. кудрявцева—„Гносеологическое доказ бытія Божія.

[1]) основы науки, 686.

[2]) человѣкъ; его сущность и назначеніе, 39.

რებმა, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ როგორც თვისი დედაენა, ისე ბერძნული, ებრაული, და სირიული, ვერ გათარგმნეს ხეირიანად, ნუ თუ ჩვენ, რომლებმაც წაკითხვაც არ ვიცით ამ ენებზე დაწერილთა, შევასძლებთ უკეთ გადათარგმნას. უკეთესია ტრაბახობას თავი დავანებოთ და მხოლოდ კორრექტურულ შეცდომებს მივაქციოთ ყურადღება და ისინი შევასწოროთ. მაგრამ ამ შრომისათვისაც საჭიროა გვყავდეს ღრმა მცოდნენი ქართული ენისა, თორემ ზოგიერთებს ძველებური ფორმით სიტყვების გაგონება ეჩოთირებათ და თავის უვიცობის გამო შეცთომებათ სთვლიან ისეთ ადგილებს, რომლებიც რომ გადაასწორონ სხვანაირად, ქართულ ენას მაშინ დაამახინჯებენ. მაგ. დიდ დრტვინვაში, ფიქრში არიან ჩავარდნილნი ზოგიერთები, თუ როგორ უნდა წარმოვსთქვათ ასამაღლებელი, ისე, როგორც ახლაა დაბეჭდილი, თუ უნდა შეასწორონ? ზოგიერთებმა კიდევაც შეასწორეს თავისებურად და წირვა-ლოცვის დროს დაიწყეს წარმოთქმა. ბატ. ხელის თქმის არ იყოს, სრულებითაც არ ჩასთვალეს მათ თავის მიუცილებელ მოვალეობათ ჯერ სხვებთან შეთანხმებულიყვნენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხის საფუძვლიანად გადაწყვეტის შესახებ. ორი წელიწადია მას აქეთ, ზოგიერთმა მაბებმა და მათ შორის დავით ეპისკოპოზმაც წირვის დროს ასამაღლებელი: „შენი შენთაგან“, შესცვალეს „შენთა შენთაგან“.. ერთმა მღვდელმა შენიშვნა მისცა მღვდელმთავარს, რათ კადრულობთ თქვენ მაინც აჩქარებას ისეთ საქმეში, რომელსაც დიდი დაფიქრება სჭირიაო; ბევრი უმტკიცა, „შენნი შენთაგან“ უფრო სწორი გამომხატველია აზრისაო, მაგრამ ვერას გახდა. თურმე მერმე, რაცხა შემთხვევით, ჩავარდნია ხელში მათ მეუფებას „Историческое. догматическое и таинствввенное изъясненіе лутургіи“ ბატონ დიმიტრიევსკისა, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ „შენნი შენთაგან“-ი უნდაო, დაანება თავი „შენთა შენთაგან“-ის წარმოთქმას. თუ მათი მეუფება ღრმათ დაუკვირდება საღმრთო წერილის სიტყვებს, შეისწავლის იმ ენას, რა ენაზედაც ლაპარაკობდნენ საღმრთო წერილის წიგნების ქართულ ენაზე გადათარგმნის დროს, მიხვდება, რომ რაც მას შეცდომა ჰგონია და შესასწორებელი სრულებითაც არ საჭიროებს შესწორებას. მაგ. ავიღოთ კავშირი „და“ მათ მეუფებას ძლიერ აბრაზებს ამ კავშირის ხშირად ხმარება და ამბობს: „რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება“-ს მაგიერ გაცილებით უმჯობესია ითქვას: „რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება“ ანუ ნაცვლად: „მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“ ითქვას: „მამისა, ძისა და სულისა წმიდისა“. ქართულ ენაში არავითარი განსაკუთრებული კანონები არ არსებობენ, რომლების ძალით უარყოფილი უნდა იქმნეს „და“-ს ხმარება. პირიქით, სიამოვნებით უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ჩვენი ძველი მთარგმნელები, რომლებიც მათი ბიოგრაფების მოწმობით „აღივსებოდენ მადლითა სულისა წმიდისათა“, სთარგმნიდნენ განსაცვიფრებელი სისწრაფით და სიმტკიცით, იცავდნენ წმ. წიგნების ტექსტის სულსა და აზრის ძლევა-მოსილობას. სწორეთ ამიტომ, ჩვენი აზრით, ჩვენი ისე, როგორც სომეხთა, საღმრთო წერილის წიგნები, სავსებით გადმოგვცემენ პირველი წყაროების სიმტკიცესა და ძლევა-მოსილობას. სწორეთ ამიტომ ჩვენი საღმრთო წერილის წიგნები კვალ და კვალ მისდევენ უძველეს ებრაულსა, ბერძნულსა და სირიულ ტექსტს, სადაც ეს „და“ ისევეა ნახმარი, როგორც ჩვენს ენაში. კავშირი „და“ აძლიერებს და განსაკუთრებულ აზრსა და სიმტკიცეს აძლევს ყოველ ნათქვამს. მაგ. ავიღოთ დაბადებიდგან შემდეგი ადგილი: „და აკურთხა ღმერთმან ნოე და ძენი მისნი და რქვა მათ: აღორძინდით და აღავსეთ ქვეყანა და ეთფლენით მას და შიში თქვენი და ზარი“... ან კიდევ შემდეგი: „გამოვიდა ნოე და ცოლი მისი, ძენი მისნი და ცოლნი ძეთა მისთანი და ყოველი მხეცნი და ყოველნი საცხოვარნი და ყოველნი მფრინველნი და ყოველნი ქვეწარმავალნი“... ამისანა ადგილებით სავსეა საღმრთო წერილის წიგნები და ნუ თუ ვერ

მიხვდნენ, რომ ,,და'' ეხმარათ მხოლოდ ერთხელ და მით შეემსუბუქებიათ შრომა, თუ კი ამით არა თუ დამახინჯდებოდა აზრი, არამედ, როგორც ბრძანებს მათი მეუფება, უფრო მკაფიოთ იქნებოდა იგი გამოთქმული? ,,და'' ამტკიცებს თვითეულ ფაქტს და ამასთანვე ამოკლებს, ანუ შესაძლებელად ხდის ქვემდებარის ანუ მოქმედების ერთხელ ხმარებას. საკმაოა ერთხელ ითქვას გამოვიდა, რომ ყოველი ქვემდებარე განსაკურრებულ წინადადებათ ვიგულისხმოთ; ოღონდ კი განვიმეოროთ ეს ,, და''. რატომ უნდა უმტყუნოს ქართულმა ტექსტმა ბერძნულს, ებრაულს, სლავიანურს, რომლებშიაც სწორეთ ასეა, არ მესმის. ძალიან გაკვირვებია მათ მეუფებას ფორმა ,,ურთიერთ არს'' ანუ ,,ურთიერთას'' ეს ფრიად საინტერესო ფორმაა. როგორც მაქვს გაგებული კერძო პირთაგან, ,,ურთიერთარს'' ზმნის ზედითი ფორმაა და იგი თითქმის უცვალებელია ძველ ენაში. ,,ბრძოდიან ურთიერთას'' ,,მტერ ექმნეს ურთიერთას'' ,,ბრძოდეს იგინი ურთიერთას'' ,,კვალად ურთიერთარს იყენენ'' და სხ. დღეს ცხოველ ენაში მის ნაცვლად იხმარება: ,,ერთი მეორე'' ,,ერთმანეთი'', რომელიც არსის სახელების ახალ ფორმათა კანკლედობის თანახმად იცვლება. ასე რომ მათ მეუფებას ასე თავისუფლად ძველი ფორმის შეცვლისათვის არავითარი საბუთი არა აქვს. ,,მოხედენ'' უნდა მათ მეუფებას გადაასწოროს ,,მოხედეთ''. რისთვის, არ ვიცი. როგორც გამიგია, ,,თ'' შემდეგი დროის შეზრდილა (нарощеніе), ძველ ენაში მას ადგილი როდი ქონდა. მაგალითად: მოგიტანა თქვენ=დღეს მოგიტანათ ძველად ,,მიგცე თქვენ=მიგცეთ თქვენ; ძველად „გნებავენ თქვენ=,,გნებავსთ და სხვა და სხვა=გინებიეს ,,მოხედენ'' არის ბრძანებითი კილო, მაგრამ თან ზრდილობიანი. ,,აღვუსრულოთ უფალსა''-ს შესახებ მე თანახმა ვარ იმ განმარტებისა, რომელიც წამოაყენა ბ. დიმიტრას მამიდაშვილმა, ძალიან ეწოთირება მათ მეუფებას ,,ხდად''. წარმოთქმა და მის ნაცვლად ამჯობინებს ,,ხადად'' თქმას. რისთვის, როცა სალმრთო წერილში არა ერთხელ შეხვდება კაცი ,,ხდად'' მათი მეუფება სალმრთო წერილის წიგნებს არ ენდობა, რადგან ეს წიგნები თვითონ საჭიროებენ შესწორებას. ვიმეორებ კიდევ, ვუფრთხილდეთ, ჩვენი უვიცობით სულ არ გავაფუჭოთ, რაც გადმოგვცეს ჩვენმა წინაპრებმა, ღრმათ ქართული ენის მცოდნეებმა. ვისაც არ ესმის ძველი ფორმა, ვურჩევ შეისწავლოს მცოდნე პირთაგან, ვინემ შეეცდომათ ჩასთვალოს ის, რაც ნამდვილ ქართულ ენის ფორმას შეეფერება.

ბაჯითელი.

ვაი მეტი ჭკუისაგან!

(გუძღვნი ამხანაგ ჯაჯუს).

ხშირათ შეხვდებით ხოლმე მაღალ თუ დაბალ საზოგადოებაში სჯა-ბაასს, თუ რა არის მიზეზი დღევანდელი ჩვენი აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობისა. ასახელებენ სხვა და სხვა მიზეზებს, სხვა და სხვა საბუთები მოჰყავთ თავიანთ აზრის დასამტკიცებლად და, შეიძლება, საფუძვლიანადაც, მაგრამ მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სხვა და სხვა გარემოებათა-შორის მუდამ ავიწყდებათ ერთი რამ, რაც შეიძლება, იყოს ერთი არა უმცირესი მიზეზი სხვა მიზეზთა შორის ჩვენი არეულობისა. ეს ერთი რამ გახლავსთ ის, რომ, რაღაც მანქანებით, ყველა მომეტებული ჭკუის შეიქმნა ამ მეოცე საუკუნეში. მეცხრამეტე საუკუნეში ყველა კარგად ვარჩევდით მოსწავლეს და მასწავლებელს, უგნურს და ბრძენს, უფროსს და უნცროსს გამოცდილს და გამოუცდელს, ჭკუის დამრიგებელს და ჭკუის დასარიგებელს დღეს კი, ამ მეოცე საუკუნეში, ყველა დიდი ჭკუის პატრონი შეიქმნა, ასე რომ ალარ არის ცნობა და განრჩევა. გამიგონია, ურია რომ გულით დაგწყევლის, ოჯახის გასწორებას გისურვებსო. აბა სწორეთ ჩვენ დაუწყევლივართ იმ ოჯახქორს, მაგრამ რას გვერჩოდა, განა ის არ გვეყოფა, რომ თითეული ჩვენგანი დაყურულია ურიის ეალში? მაგრამ

როგორც უნდა იყოს, ოჯახი კი გაგვისწორდა; გაგვისწორდა მთა და ბარი, იალბუზი და გეგუთის მინდორი; ეს დღეს ფაქტია, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუ გინდ ურიის წყევლის შედეგიც იყოს.

ყველაზე უფრო ოჯახის გასწორება სკოლას დაეტყო. ყველას წაუსწრო ჭკუით მოსწავლე ახალგაზდობამ. შკოლაში ეხლა სრული თანასწორობაა, მოსწავლე თავისუფალია ისე, როგორც არასოდეს: უნდა მობრძანდება კლასში, უნდა არა; ინებებს გავა გაკვეთილიდან, ინებებს ამხანაგებს ემასლაათება; ენებება ყურს უგდებს მასწავლებელს და თუ არა, ზურგს შეაქცევს; ხანდისხან ბრძნის პოზას მიიღებს და მედიდურად იღიმება და ამ ღიმილში ადვილად ამოიკითხავთ. „დაბერებულხარ, ოსტატო ძიავ, მაგ აზრებმა უკვე მოსპამეს წუთისოფელი და კაი ხანია არხივს მიებარენ“. თუ მოსწავლე გაკვეთილზე ზის მისთვის კი არა, რომ ყური უგდოს და ისწავლოს, არამედ რათა გაკიცხოს და გაქიქოს მასწავლებელის დაბერებული აზრები. ამ მიზნით ის ხშირად უცნაურ კითხვებსაც იძლევა. ზოგი მოწაფე მეორე გაკვეთილზე შემოვა და რომ ჰკითხავ, რა მიზეთით დაიგვიანეო, გეტყვის: „ალბათ მიზეზი იყო, თორემ ჩემი თავის სიკეთე მე უფრო მინდა და მესმის შენზეო“. და ეს თავის მოკეთე ვაუბატონი არასოდეს გაკვეთილს არ ამზადებს და რომ მიზეზს ჰკითხავ გეტყვის: „განა მაგისანა „პუსტიაკებზე“ დროს დაკარგვა ღირსო, ის არა კმარა, რაც კლასში თავს ვილაყებო“? და ესევე „პუსტიაკების„ უარისმყოფელი მიდის ამხანაგ—ინსპექტორთან და თეატრის ან ცირკის ბილეთს სთხოვს, უთუოდ მისთვის, რომ ეს „პუსტიაკი“ არ არის, ეს „ვაუნი“ რამაა. თუ ინსპექტორი უარს ეტყვის, სულ ერთია,—იგი მაინც წავა. ხშირად მოსწავლე იმაზედაც კი დაიწყებს ფილოსოფოსობას, თუ რა საჭიროა ესა თუ ის საგანი, რა საგრძნობელ სარგებლობას მოუტანს იგი მას. ხოლო სარგებლობა ყოველთვის მატერიალური, ნივთიერი იგულისხმება. რატომაც არა! მოსწავლეებმა ეხლა ძალიან კარგათ იციან, რომ ადამიანი საჭმლის მომნელებელი მანქანაა, რომელსაც ხანდისხან გართობაც ეპირვება, უთუოდ მისთვის, რომ კარგად მოინელოს სანოვაგე. ამიტომ თავის მასწავლებლებშიდაც ის მეტს ვერაფერს ხედავს, გარდა იმავ მანქანისა, რომელსაც მიტომ აუღია საგნად მასწავლებლობა, რომ მანქანას არ მოუშივდეს. სამართლიანობაზე ნუ დაიწყებთ ტყვილა ლაპარაკს. თანამედროვე „უჩენიკმა“ ზეპირად იცის, უსწავლელად და გამოუცდელად იცის, რომ ყოველივე მისი მოქმედება სამართლიანია, ყოველივე მისი აზრი უმცდარი ჭეშმარიტებაა, ყოველივე მისი მოქმედება აზრიანი და საბუთიანია, ყოველივე მისი საქციელი მართებული და პატიოსანია. სხვისი? რა საკითხავია! განა შეიძლება სამართლიანობაზე ლაპარაკი იქ, სადაც განხორციელებულ სამართლიანობას, ე. ი. მოსწავლეს, თავისუფლებას უზღუდავენ?

არის სფერა, რომელშიაც ბადალი არა ჰყავს თანამედროვე მოსწავლეს. ეს პოლიტიკის სფერაა. მან ზეპირათ იცის რა პოლიტიკური წესწყობილება დაამყარებს ქვეყანაზე ბედნიერებას, ე. ი. რა წესწყობილება გააძლობს კუჭს და მისცემს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას. გასაზოგადოებრივება ყოლიფრისა, რაც კი დღეს კერძო საკუთრებას შეადგენს, უსულო საგნებიდგან, ე. ი. სამუშაო იარაღიდგან, დაწყებული სულიერ საგნებამდე—აი სად არის ხსნა სოციალური პრობლემისა. დღევანდელმა მოწაფემ მასწავლებელზე უფრო კარგათ იცის, რომ ჭეშმარიტების მპყრობელი მარქსია თავის შკოლით, რომ მის მოძღვრებაში მიაღწია ქვეყნიერებამ თავის განვითარების უკანასკნელ წერტილს, რომლის იქითაც იხედება ქვეყნიური სამოთხე, ის სამოთხე, რომელიც ქრისტეს შეცთომით საიქიოს ეგონა. რამდენი კიდევ სხვა რამე იცის თანამედროვე მოსწავლემ, რაც მის წინაპრებს არ მოლანდებია, მაგრამ ჩამოთვლილიც კმარა ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, თუ რამდენათ გაგვიჭკუიანდა მოსწაელე ახალგაზდობა. ამის

შემდეგ რა გასაკვირველია, რომ შენ არაფერდაგიჯეროს, არაფერი გაგიგონოს. თუ შენ იგი კლასში გიზის, იმას ნუ ფიქრობ, რომ იგი ჭკუის სწავლებას გთხოვს, მას უფლება უნდა, დიპლომი, პატენტი, რომ სადმე მანქანის მოსანელებელი იშოვოს და სათარეშოსაქეიფო, სანამ სასუფეველი დაუდგებოდეს. ეს რომ არ უნდოდეს, რა ბიჭია შემდეგ მარქსისა, პლეხანოვისა, ბებელისა და კაუცკისა, აგრეთვე ნ. ჟორდანიასა შენ კარზე მოგადგება და „ბასნებს“ გისმენს! ან რა გასაცვლელია დარვინი, ვიღაც „ევგენი ონეგინის“ ყურმოჭრილ მონაში, ან ვიღაც იესო ნაზარეველის ქურუმში!... ამდენი ჭკუა აქვს თანამედროვე მოსწავლეს, მაგრამ „ვაი ამ ჭკუისაგან“!

უკაცრავათ, ამხანაგო, არ გეგონოს ამით ვათავებდე შენ ძლევნს; გათავება მაშინ იქნებოდა, თუ „მეტი ჭკუა“ მხოლოდ მოსწავლეებს გასჩენოდათ. მეოცე საუკუნემ კერძოობა არ იცის... შემდეგი იქმნება ნოქარვაჭრებზე.

კონსერვატორი.

კიდევ ერთხელ სამღვდელო გაბრიელზე.

(გაგრძელება*).

ვიმეორებ, ვისაც საქმიანობის უნარი აქვს და ქანქარი არ სურს მიწაში დაფლას, სოფლის საზოგადოების, წრის ხასიათიც კარგათ შეუგნია, იგი დაბრმავებულს, მოდუნებულს უმეტესობას ვერ შეაჩერდება. მან დროში მაღლა უნდა ასწიოს, რომ ბრმა მასსის და ბრბოსგან ნატყორცნი ტალახი და შხამი მას არ მისწვდეს, და თავის გზაზე, ეკლიან გზაზე წალდით და ცელით ხელში მხნედ დაადგეს და მხნედ ჰკრიფოს ეკლები და ჭინჭრები, თუნდ ხელებიც კი დაეშუშხოს და დაუსისხლიანდეს. მან, ვიტყვით გაბრიელის სიტყვებით,—თვით ამ ბრძოლაში უნდა ჰპოვოს თავის ნუგეში. ისეც არ იქნება, რომ ზოგმა მაინც არ დასდოს ფასი მუშაკის შრომას, და ეს თითო-ოროლა გამამხნევებელნი და პატივისმცემელნი გაუწევენ მას უმეტესობის მაგიერობას. ამით უნდა ინუგეშოს თავი მუშაკმა და გული არ გაიტეხოს. როგორც ადამიანი ყველა ერთ დღეს არ იბადება და არც კვდება, ისე ყველა ერთ დღეს არც ინათლება სულიერად, არც იზრდება.

გონებრივი და ზნეობრივი ზრდა საზოგადოებისა ჰგავს კუსა და კამეჩს. იგი მძიმე, ზანტი ბიჯით მიდის წინ; მაგრამ მიდის-კი ყოველთვის?! ხშირად იგი კვიმატიანი ჯორივით ხან წინ მიბაჩბაჩებს და ხანაც უკან მეტი სისწრაფით და გულამოჭრით ბრუნდება და მიექანება, თვითონაც არ იცის, საითკენ!. ისე უაზროდ, შეუგნებლად, რეფლექტიურად, სიცხიანივით, მძიმე სნეულივით.

საცოდავია მუშაკი ამ დროს! ამ უკუქცეულს ტალღაში იგი ხშირად ნაფოტად მოსჩანს, ხშირად მებრძოლ, მქუხარე ჯავშნიან გემად. ხშირად შორიდამ მაყურებელმა არც კი იცის?

„ზღვა დასძლევს ნავსა, თუ ნავი—ზღვასა„.

მუშაკი ზოგჯერ საზოგადოებით ზურგგამაგრებული წინ მიისწრაფვის მხნედ, გაოფლიანებული, ჭაპანწყვეტით და მისი მადლიანი ცელიც და წალდიც სასწაულებს შვება ჭინჭრის კაფვაში, ღვარძლისა და კუროსთავის ფხვრაში; ხანაც მუშაკს, უკუშემოტრიალებულს უნებურად და საუბედუროდ, საბედისწერო წუთს, თვით ბრბო ხვდება წინ უაზროდ მობარბაცე, რეტიანი, მძლავრი პირისქარივით, შავივით და სწორ-სვლას აბრუნდებიებს, ახრევინებს, ხან აქეთ მოაგდებს, ხან იქით მიაგდებს, მიახლის, მაგრამ ხშირად დახელოვნებული მცურავივით მრისხანე ტალღებშიც პოულობს გასაძრომ-გამოსაძრომ ხვრელებს, გვერდს უქცევს, დაყვინავს, მკლავს სხვანაირად გადაჰკრავს, გააპობს ტალღას და დამხრჩვალი რომ გგონია, აი იქ, იქ შორს ამოჰყო თავი და დროშა ისევ მაღლა შეაფრიალა!..

იგი ისევ იბრძვის, ისევ „იმედით ჰკვებავს ბნელში“, ისევ ხელთათმანს უგდებს

ბრბოს, იგი ისევ, „გაკეტებია შავ ბედსა“, „დადის შეუპოვარი“, მას ვერ აშინებს რისხვით ცა, ჭირზედა ჭირის მთოვარი“, იგი მაღლა აფრიალებულს დროშას ეპოტინება და ბრბოს თავლაფდასასხმელად ამ სიტყვებს აწერს ზედ დევიზად:

„არც კაცი ვარგა,
რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი
ანა რა არგოს!“

თვითონ სულმნათი გაბრიელი არის ასეთი მუშაკის გამამხნევებელი. მისი სიტყვა, მისი საქმე რა იყო, თუ არა ბრძოლა, ბრძოლა და ისევ ბრძოლა! მისი ხანგრძლივი ცხოვრება რა იყო, თუ არა განუწყვეტელი დაბრკოლება, ხელის შეშლა, ღალატი, დაცინვა, მუქარა, მტრობა შიგნიდამ და გარედამ! მაგრამ აბა ჰკითხეთ მომსწრეთ: ერთხელ მაინც გამოსცადა მან უკან დახევა?!.. არა და არა!! მისი გატანჯული ცხოვრება ერთთავად დაჟინებული, გულამოჭრილი, თავგადადებული წინსვლა იყო და მეტი არაფერი!.. მისი უკანასკნელი წუთებიც კი, მისი უკანასკნელი სულის ბრძოლაც კი სიკვდილის სარეცელზე ესევე წინსვლა და ბრძოლა იყო, ბრძოლა სიკეთისათვის, სინათლისათვის, ცხოვრების აზრისათვის, იდეისათვის, ადამიანობისათვის!... მთელი სიცოცხლე ეძებდა, ეძებდა და ამ ძებნაში ამოხთა სული! მთელი სიცოცხლე იბრძოდა, იბრძოდა და ბრძოლაში დალია მძლავრი სული!...

„ამ გარემოებებში, რომლებითაც დღეს გარემოცულია ადამიანი, ამბობდა განსვენებული მებრძოლი,—კაცს მხოლოდ ბრძოლით შეუძლია სისრულემდის და სიწმიდემდის მიღწევა, აჰა ცხოვრების ბრძოლა! ბრძოლა გარეგანიცაა და შინაგანიც. უკანასკნელი უმაღლესია პირველზე. ვეველრები უფალს, რათა ეს ბრძოლა მუდამ იყოს თქვენში, რადგან ის არის შინაგანი წარმატების ნიშანი. ცუდია, თუ კაცის სინდისი იმდენად დაძინებულია, რომ აღარაფერი არ აწუხებს მას! იმაზე უარესი რაღაა, თუ კაცი ბოროტებას შეურიგდა! არა, კაცი დაუსრულებლად უნდა იბრძოდეს. არ შეკრთეს გული თქვენი!.. ბრძოლა ხომ ცხოვრების გარდუვალი კანონია! მას არავინ არ უნდა გაურბოდეს, მას ვერავინ ასცდება. ხოლო ვინც გადასწყვიტა ებრძოლოს ბოროტებას, იგი თვით ამ ბრძოლით დაჯილდოვდება. კაცის ზნეობა ბრძოლით განიზომება. რასაც მეტს იბრძვის, მით მეტს სიმაღლეს სულიერს გვაჩვენებს; მით მისი ნება, ხასიათი მტკიცდება, სული მამაცდება, კეთილი უყვარდება, ცუდი ძაგდება!.

მთელი ცხოვრება ქრისტესი მხოლოდ ჯვარი, „ბრძოლა იყო“... „დაეცი—ადექი! დაგეკარგა რამე—ეძიე; ვერ აღასრულე რომელიმე საქმე—ხელახლა დაიწყე მომეტებული მხნეობით! უძრავად ნუ დარჩები! როგორც კაცს გაჩერება სიცივეს მოუმატებს, აგრეთვე ლაჩრობა წაახდენს მას! გარეგანი უბედურების ნაგთსაყუდელი დაწყობილ და ქრისტიანულად დაშენებულ სულში უნდა გქონდეს? იწყე შრომა და ლოცვა! ლოცვა ჰშობს სასოებას, ხოლო სასოება დაბადებს მხნეობას“.

აი სულიერი და პოხიერი საზრდო ეხლანდელი ჩვენი მოდუნებული საზოგადოებისათვის, მუცელ გაბერილ წოდებისათვის, ძილით და ღვინით გაჟღენთილ-გაბიჟვინებულთათვის. რა მოუხდებოდათ მათ, ეს რეცეპტი გაბრიელისა, რომელსაც მუცელი ხერხემალზე ჰქონდა მიმკვდარი ზომიერებით და შრომით! ჩვენ—კი უბედურებს ასეთი რეცეპტები, ასეთი მარგალიტები თაგვებისთვის მიგვისაკუთრებია სარდაფებში და სირცხვილისა და ტირილის ნაცვლად საზიზღრად ვილრიჯებით, ვითომ კარგად გვაქვს საქმე!?.. ვაი ჩვენდა!.. ვაი და ვაი!...

ბრძოლა ჩვენში რომაა იმდენი უნდაო, მეტყვიან ჩვენი გმირები დმ რაღას ილანძღებიო?! მართალია, მაგრამ. იმავე გაბრიელს მოვუსმინოთ ამაზე!

„სხვა ქვეყანაშიო, —ამბობს გაბრიელი, — მხოლოდ მას სცდილობენ, რომ სამართალმა უსამართლობას აჯობოს, ხოლო აქ მას ცდილობენ, რომ კაცმა კაცს აჯობოს! იქ აზრი

აზრთან ჭიდაობს და საქმე საქმესთან, აქ კაცი—კაცთან, გვარი—გვართან. იქ ცილობა მოხდება ჭეშმარიტებისა და უმჯობესი წესის ძიებისაგან, აქ თავქედობისაგან და თავმოყვარეობისაგან. იქ ცილობა და უკმაყოფილება ყოველთვინ დაბოლოვდება რომლითამე კეთილითა წყობილებითა, აქ კი დაბოლოვდება მხოლოდ სიძულვილითა და მტრობითა, იქ მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ცილობითა და ჭიდაობითა გამოიძიონ უმჯობესი აზრი და წესი, აქა კი მცირე რაიმე უკმაყოფილება საუკუნოდ გააშორებს კაცს კაცისაგან".

ამ ნაირად ჩვენ რომ ბრძოლას ვეძახით, ის სხვების, კულტუროსანთ თვალში ჩხუბია და ცხვირპირის მტვრევა!.. ჩვენ კი გვგონია, ქვეყანას ვაკვირვებთ ყოჩაღობით! ვაი ჩვენდა! ძილი ან ჩხუბი! ჩხუბი ან ძილი!... ამას ვერ გავცილებივართ!... ვაი ჩვენდა?...

მდ. მ. კელენჯერიძე.

(შემდეგი იქნება).

იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელ კრების გამო.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება დასრულდა 14 თებერვალს. ბევრი საგულისხმიერო საკითხები აღიძრა ამ კრებაზე, რომლებიც მოწმობენ სამღვდელოების გამოფხიზლებას და საზოგადო საქმისადმი გულშემატკივრობას. სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქალაქის სამღვდელოება რაღაც ნაკლებად ესწრება ამ ბოლო დროს საეპარქიო კრებებს, რაც მათ მიძინებას და ყურ-მოთელილობას უნდა მოწმობდეს. ასე წარმოიდგინეთ კრებაზე ისინიც კი არ ყოფილან, ვინც მოვალენი იყვნენ ყოფილიყვნენ მაგ წევრნი სხვა და სხვა საზულიერო დაწესებულებისანი. კრება სავსებით სოფლის სამღვდელოებას ეკუთვნოდა. მით უკეთესი! ქალაქის სამღვდელოების რიცხვი არ შეადგენს მაინც და მაინც საგრძნობელ ნაწილს. საქმე იმაშია, რომ უმრავლესობა ფხიზელი იყოს, თორემ უმცირესობა რას გააკეთებს. ან კი როდის ყოფილა ქალაქის სამღვდელოება რისამე გამკეთებელი, გარდა თავის პირადი ცხოვრების მოწესრიგებისა, თუ გაკეთებათ არ ჩაუგდებთ იმ ორიოდე დემოკრატულ სპიჩებს, რომლებიც ზოგიერთმა მათგანმა თავზე გადააყარა სამღვდელოებას და საზოგადოებას ცნობილ 1905.

კრებამ უწინარეს ყოვლისა მისალოც ტელეგრამით მიმართა მისს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას საქართველოს ახალ ექსარხოსს ინოკენტის. თუმცა ეს და ამის საპასუხო ტელეგრამები უკვე მოთავსებულია გაზეთებში, მაგრამ საჭიროთ ვთვლით აღვნიშნოთ ჩვენ გამოცემაშიაც. აი ეს ტელეგრამები.*) კრებისა: „იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა 51-ტე კრება სავალდებულოთა სთვლის მოგილოცოსთ, მეიფეო, მშვიდობით ჩამოსვლა, მრავალტანჯულ ივერიის სამწყსოში. თქვენი აღთქმანი ქეშმარიტ ქრისტიანულ გრძნობით გამსქვალულნი, გეხგვახარებენ იმ იმედით, რომ თქვენი უუწმიდესობა ხელს შეუწყობს ივერიის უძველეს ეკლესიის კანონიერ მისწრაფებას, იმ ეკლესიის, რომელმაც უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა მართლმადიდებლობა. კურთხეულიმც იყოს თქვენი მშვიდობიანი, ძოციქულებრივი მსვლელობა ძველთაგანვე მართლმადიდებელ ივერიაში და უხეხუსშა მოგახიჭოთ ძალა და სიმხნე ივერიის შრომელ მორწმუნე მოციქულებრივ ეკლესიის განახლებისა და მის კეთილ უფლებათა აღდგენისათვის.

პასუხი მის მაღალყოვლადუსამღვდელოებისა ყოვლად სამღვდელო გიორგის სახელობაზე:

„თქვენო უსამღვდელოესობავ, გთხოვთ ჩემი მადლობა გადასცეთ თქვენის ეპარქიის დეპუტატთა კრებას ჩემის საეგზარხოსოში ჩამოსვლის გამო მოლოცვისათვის. მშვიდობიანი შრომა რუსეთისაგან განუფოფელ და მის ხელქვეით მყოფ ივერიის ეკლესიის საკეთილ-

*) ტელეგრამების ტექსტს გან. „ბალხიდან" ვიწერთ, რადგან კრებისაგან ვერ ვიშოვნეთ დედნები.

ᲐᲕ.

დდეოდ, სამართლიანი მოპყრობა ამა ეკლესიის ყველა შვილთა მიმართ, ეროვნების განურჩევლად — ჩემი მოვალეობა და წმიდა ვალია. მაგრამ მე სრულებით უარეყოფ ხელი შეეყენოო ოვერიის, ეკლესიის რადაც კანონიერ მისწრაფებათა და უფლებათა ადგენას. ვურჩევ მწპემსთ ხშირად და მხურვალეთ განაღვივონ თავის გულში მოძღვრული სული.

საქართველოს ეგზარხოსი ინვენტი''.

ჟურნალურ დადგენილებათაგან შესანიშნავია სამღვდელო კანდიდატთა მოსამზადებელ საღვთისმეტყველო კურსების გახსნა და იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის საქმეების გაფართოების და შემწეობის შესახებ. ჟურნალებიც იმ სახით, როგორც იგინი წარუდგა ყოვლადსამღვდელოს დასამტკიცებლად:

„იმ აურაცხელ საკითხთაგან, რომელიც უნდა გარჩეულიყო ამ კრებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავის მნიშვნელობით საკითხი სამღვდელო პირების მომზადებისა. კაი ხანია სემინარია აღარ იძლევა სასურველ სამღვდელო კანდიდატებს, ხოლო სასულიერო სასწავლებელი ვერ ამზადებს რამოდენიმეთ მაინც გვარიან მედავითნეებს, რომლებმაც იცოდენ ხუცურის ჩქარა და გარკვევით კითხვა. ამისთვის აი აგერ 5—6 წელიწადი განმავლობს, რაც თავისუფალი სამღვდელო ადგილები ეძლევათ უვიც პირებს. საქმის ასეთი მიმდინარეობა ეკლესიას სრულ დამხობას უქადის, რამაც უნდა მიიპყრას საეკლესიო მართველობის ყურადღება, რომ თავიდგან აცდენილ იქმნენ დამაღონებელი შედეგები. ამ მდგომარეობიდგან გამოსასვლელ ერთად ერთ საშვალებად კრებას მიაჩნია საღვთისმეტყველო კურსების დაარსება უკვე ასაკოვან კანდიდატთათვის, რომლებსაც შეგნებულად და თავისუფლად ამოურჩევიათ ეკლიანი გზა თანამედროვე ეკლესიის მწყემსისა. ეს კურსები უნდა ინახებოდეს ქართლ-კახეთის, იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების საეკლესიო ხაზინების საშვალებით, და მართებლობის სუბსიდიით, საეკლსიო ხაზინები განთავისუფლებულ უნდა იქმნენ იმ ხარჯებისაგან, რომელსაც იგინი ღღეს ეწევიან სასულიერო სასწავლებლებზე, რომლებსაც, შიდა რუსეთის გუბერნიაში სახელმწიფო ხაზინები ინახავენ. რადგან ეს საკითხი ეხება მთელ საქართველოს საეკლესიოს, და მაშასადამე იგი უნდა განხილულ იქმნას საეკლესიოს სხვა ეპარქიების საზოგადო კრებაზედაც, ამიტომ კრებამ დაადგინა, ეთხოვოს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს გიორგის, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს შესახებ ამ საკითხის დაყენებისა და გადაწყვეტისა.

უკიდურესი.

კვირიდან კვირობამდე.

თანახმად ეკლესიოს ეგზარხოსის ინოკენტის წინადადებისა, სასინოდო კანტორამ იქონია მსჯელობა და დაადგინა განახლებულ იქმნას დახურული „Дух. Вѣстн.“ ოფიციალური ნაწილის გამოცემა კანტორასთან. რედაქტორად იქმნება კანტორის პროკურორი პოპოვი. ზოგიერთი ოფიციალური განკარგულებანი ქართულადაც გადითარგმნება. გამოცემა იქნება ორ კვირეული და სავალდებულო მთელი საეკლესიოს ეკლესია მონასტრებისა და სასულიერო უწყების დაწესებულებათათვის. წელიწადში ჟურნალი ეღირება სამი მანეთი. საეკლესიოს ეპარქიებს შეუძლიანთ ამ ოფიციალურ ჟურნალის დამოუკიდებლათ იქონიონ თავისი ორგანოები.

—

ქართული საეკლესიო წიგნების გამსწორებელი კომისიის წევრებად კანტორამ დაამტკიცა დეკ. კ ცინცაძე, თ. ეორდანია და იუსტინე აბულაძე, ხოლო თავმჯდომარედ არქ. პიროსი.

გურია-სამეგრელოს საეპარქიო კრება დაიწყება 22 თებერვლიდან. კრება მოხდება ქ. ფოთში.

—

ყოფილი დეკანოზი ნ. ყუბანეიშვილის მაგიერ სობოროში კანტორამ მღ. ი. კერესელიძე დანიშნა ადგილობრივ ეპისკოპოზის დაუკითხავად. ზედმეტი, საეკლესიო კანონებით აღკრძალული უფლების შეზღუდვაა.

ღვთის მსჯავრი ურწმუნოთა ზედა.

(Кормчій № 5)

სამურძოანოში, რომელიც შუადგენს სოხუმის ოდქის ნაწილს და დასახლებულია აფხაზებით და მეგრელებით, ჯვართ ამაღლების წინა დამეს მოხდა შემდეგი საგულისხმო ამბავი, რომელიც გადაიქცა აღგილობრივ მკვიდრთათვის საერთო სალაპარაკო საგნად.

13 სექტემბერს, სოფელ მუხურში, მიცვალებულ კაიოზ ჭოლარიას სახლში, შეიკრიბნენ ჭოლარიას მეზობლები და ნაცნობები. სხვათა შორის იყვნენ: თავადი მ. ანჩაბაძე, ბ. ბენია და მაქსიმე გველესიანი, რომლებიც შეუდგენ ჩვეულებისამებრ მიცვალებულის ნათესავთ და ნაცნობთა მოსაპატიებელ ბარათების წერას. ეს სამი პირი შემოსხდომოდნენ შუაბანდიან ბალკონში მაგიდას. შუაბანდში და ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, იყო დასხლოვებით ოცდა ათ კაცამდე.

შეიქმნა დამის თერმეტი საათი. წინანდელი პატარა დრნბელი მეტათ კაიზარდა და მთლად ჩამოაბნელა არემარე; დაიწყო ხშირი ელვა, მერე კაიმა გრგვინვა და ასტელა ჭექა-ქუხილი.

ანჩაბაძესა და ბენიას შუა მჯდომმა გველესიანმა ოთახში შესვლა ურჩია ამხანაგებს. ესენი არ დასთანხმდნენ გველესიანს და დაუწყეს მასხარობა, დაცინვა იმათ, ვინც პირჯვარს იწერდა ქუხილის გაგონებაზედ.

„რომელ ღმერთს იჯერ ხელებითა“?

ასე ეკითხებოდნენ ღვთის მგმობელნი იმათ, ვინც პირჯვარს იწერდა...

დაპარაკი გათავდა იმაზე, თუ საიდგან გაჩნდა ჭექა-ქუხილი.

„კამეჩისაგან ჩნდებაო“—ამბობდა ერთი.

„ჰაერში მტვრის შეჯახებისაგანო“—ამტკიცებდა მეორე.

ერთ აქ მეოფოს შენიშვნაზედ, რომ ჭექა-ქუსილი ღვთის განგებით არისო, ურწმუნოების მხრით გაისმა დაცინვა და მასხარად აგდება.

„თავადი ანჩაბაძე და ბენია ცუდად დაპარაკობენ ღმერთზედო“—ასე განაცხადა შემდეგში ბევრმა იქ მეოფთაგანმა. მაგრამ ადსულდა სიტყვა ღვთისა: „ღმერთი არა შეურაცხ იქმნების“... იჭექა ერთი საზარლათ და თავადის დახამხამებაში, სახლი გაუხვია ცეცხლის ალში..,

ცეცხლ მოკიდებული სახლიდგან ძლივსდა მოასწრეს გამოქცევა, გამოტანა გულშეწუხებულებისა და მიცვალებულისა. მიუხედავთ იმისა, რომ ბოკისპირული წვიმა ასხამდა, სახლი ერთ წუთში ჩაიწვა.

რრგორც ადმოჩნდა, შეხს დაეხოცნა თავადი ანჩაბაძე და ბ. ბენია, სამს კი: ივანე ჩკადუას, მაქსიმე შაშატოვს და მოსე ნაჭეებიას გრძნობა დაეკარგათ, მაგრამ ისევ მალე მოსულიერდნენ; მოსე გველესიანი კი, რომელიც უგრძნობლად ეგდო იატაკზედ, მობრუნდა მხოლოდ მეორე დღეს დილით; თანახმად გველესიანის სურვილისა მოწვეულ იქმნა მღვდელი. რომელმაც ადსარება ათქმევინა და წმ. საიდუმლო მიაღებინა ავათმყოფს. როდესაც გველესიანმა თავი უკეთ იგრძნო, წამოდგა ფეხზე და კაეშურა მახლობელ სოფელ ილორს.

ხსენებულ სოფლის ეკლესიაში ასვენია სამურზაყანოს მკვიდრთა სათაყვანო და ძველი დროიდგან გამოჩენილი საკვირველთმოქმედი ხატი წმ. გიორგისა, და აი ამ ხატის წინ, პირქვე დამხობილმა, დიდხანს ილოცა გველესიანმა ცრემლთა ფრქვევით.

გველესიანს მეხის დატეხისაგან დაშავებია მარცხენა ხელის მაჯა, რომელიც დაეჭვა კისერზედ ჩამოკიდებული, დასწვია წვერი და გაკენწლია თავი.—„მე ეხლა სულ სხვა კაცი ვარო“—ეუბნება უფროს გველესიანი, ე. ი. მე ისეთი მცირედ მორწმუნე ადარ ვარ, როგორიც აქამდის ვიუავიო.

ამას უნდა დავძინოთ, რომ მეხმა მარტო განსვენებული ჭოლარიას სახლი დაწვა, და იქვე

სამი არშინის მანძილზე მყოფი ჩალით გადახურული საჩეხი კი უვნებლად გადარჩა.

ამ შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ სამურზაყანოს მცხოვრებლებზედ.

აღნიშნული გარემოება შემოწმებულია ჯეროვნად და საბუთები მისი სინამდვილისა, დაცულია სოხუმის ოლქის უფროსთან.

ამ სასწაულებრივ ამბავს ვკითხულობთ რუსულ ჟურნალში.

რასაკვირველია, ჩვენს ურწმუნოებს არ მოეწონებათ და არც სასწაულად მიიღებენ, მაგრამ არც მათთვის გვითარგმნია იგი; ჩვენ სახეში გვყავს მორწმუნე ადამიანები და არა ათეისტები, მათზედ დიდი ხნის მაცხოვარმა ბრძანა: „ნუ დაუგებთ ღორთა მარგალიტთა, რათა არა დაითრგუნოსო“. დეე მათი ქვენა ღმერთი იყოს მათი სათაყვანო და რაღაცა მკვდარი მატერია. ჩვენ და ყველა მორწმუნენიც მოვალენი ვართ ვეცადოთ მორწმუნე დაბალი ხალხისთვის, რათა მათმა უზაკველმა გულმა არ მიიკაროს ის ქეცი, რომლითაც ასე დასნეულებულია, ვითომ-და ჩვენი განათლებული, და მასთან ურწმუნო, ინტელიგენცია.

ვანო,

მოწერილი ამბები.

ახლო-მახლო

ცხოვრების დასკვნებს ბუნების მაგალითები ადვილად გვიხსნის: თებერვალში, რომ კაი ამინდები დაიჭიროს, ხეხილებს ყვავილები გამოსტყუოს, ვაზი შეჰფოთლოს, ვარდს კუკური წააყრევინოს და შემდეგ სუსხიანი ყინვები დაჰკრას, ყველასთვის ცხადია, რომ, როგორც ერთს, ისე მეორეს და მესამეს შეხედულობას უცვლის, გამოტყუებულ ყვავილ—ფოთოლ—კუკურებს დააზრობს და, შესაძლებელია, თვით მცენარეებიც გაახმოს. ამიტომ არავის უხარია ნაადრევად ხეხილების აყვავილება. სამაგიეროდ ყველას გაუხარდება თუ შვილი ადრე—ახალგაზდობიდან „გაუფილოსოფოსდა“. თუ 16-17 წლის ახალგაზდამ ტუტუცობა დაიწყო, გაგონილ-ამონაკითხი ჩააბულბულა, მისი მშობლების სიხარული საზღვარს შორდება.

—სწორებით ჩემი ილიკო დიდი ნიჭიერია; მისმა დღევანდელმა რეჩმა ხალხი გააკვირვა და ყველა იმას უნობდა, რომ დიდი ნასთავლი კაცი ყოფილაო... რაც გამაჩნია ყველაფერს იმას გადავაყოლებ და უნდა ვასთავლო და ვასთავლოვო,— ამბობს მამა.

—უი, ვენაცვალე მის ჰკვიანი თვალებს! რას მიქვია არ ვასთავლო! გაგიჟებული ვარ, გაგიჟებული მისი სთავლით და გონიერებით! თუ ღმერთმა მაჩუქა, ვიცი რაც შვილი მეზდება! ეს კია: თუთუნს ეწევა, კარტის თამაში უყვარს, სამიკიტნოებში თვრება, გაგიჟებული არშიყია, ამაყი და ფიცხიც არის: გუშინაწინ ი ჩვენი ცხვირ მოუხოცელი სიკოიას შვილს წაჩხუბებოდა და კიდევაც გაელახა მაგ გლახას, მაგრამ ეს ახალგაზდობით მოსდის... ნასთავლი იქნეს და ყველაფერი მისი არ იქნება?—ღმერთი არ არისო, სული მოგონილიაო, ნათესაობა სისულელეაო,— ყველას ამას უქადაგებს, მაგრამ ნასთავლები სუყველა ამას უნობენ და ჩემი ილიკო ვიზე ნაკლები ნასთავლია?... მას ენაცვალოს დედა მისი; ჯერ დაწლოვანებული არ არის, თვარა სუდიობა ერგებაო, ადასტურებს დედა.

საგრძნობელი და ერთობ დამაფიქრებელი სურათია!

ჭკუა-გონებას და ზნეობა-ხასიათს არავინ კითხულობს!

თუ ვინმე „ახლ-მოდის რეჩი“ წაიბურტყუნა, ჰგონიათ, ვითომც სოკრატის თავი ადგია კისერზე! თუ ვინმემ წერა-კითხვა იცის, ყველა ნასწავლის სახელს იმსახურებს!... იმაზე არავინ ჰფიქრობს, „შინ როგორ ბრძანდებიან“;—არავინ ზრუნავს იმაზე, რომ კაი სასმელს კაი ჭურჭელიც უნდა; „მასპინძელი“ როგორი უხვდება ჩამობრძანებულ „სტუმარს“ და სხ.

რეჩი!—დღევანდელი რეჩის თქმაზე ადვილი არა იქნება რა. აიღეთ, რომელიც გინდათ გაზეთი, წიგნი, ან წიგნაკი, გაიზეპირეთ სიტყვები: დემოკრატია, დემოკრატიული რესპუბლიკა, სოციალიზმი, სოციალიზაცია, ბურჟუა,

პროლეტარი, მუშათა პარტია, მარქსი, ბებელი, რევოლიუცია, ევოლიუცია, მიუმატეთ თითო ოროლა ზმნებიც და გამომცხვარია რეჩი. ასეთი რეჩები ყოველ ფეხის გადადგმაზე გვეჩხირება თვალებში და აბა რომელი უნიჭო ახალგაზდა არ დაიხვევს მათ თითზე? ესეც დიოგენობა ყოფილა! ბოდიშს ვითხოვ რჩევისათვის ᲭᲜᲣᲠᲪ ერთ მამას ᲬᲣ უხარია ტუტუცი და ცრუპენტელა შვილის ყოლა, მისგან ხეირი არა გამოვა რა. უმჯობესია მამა დარბაისლურად შეეკითხოს შვილს: „ვის იცნობ შენ, რომ გითხრა, ვინცა ხარ შენთქოო“? რომელი წიგნები გიკითხავს შენ, რომ გითხრა, რაც ნასწავლი ბრძანდები შენთქოო.

უმჯობესია, მამამ ის დარიგება მისცეს შვილს, რაც დარიგება გაატანა ბრძენმა მამამ თავის, განათლების მისაღებად გამგზავრებულ შვილს: „ენით ნუ იტყვი რასაც აზრობ, ᲜᲣᲠᲪ შეასრულებ შეუფერებელ აზრსა რამეს... ყური მიაპყარ სხვების აზრსა, შენი დაფარე.“

ვიცით მცენარის თვისება და ადამიანის კი არა. თუ ვაზმა ადრე იფეთქა, ნაღვლიანად ვიტყვით: „ეხ! დაიღუპა მოსავალიო“ და ახალგაზდის ᲭᲙᲣᲘᲡ დამწიფებას თუ „სწავლამ“ (უფრო, ტუტუცობამ) წინ უსწრო, თავი ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲐᲓ მიგვაჩნია (!). ვინ იტყვის, აბა რომელ „ადრე განათლებულ“ ახალგაზდას მოუპამია თავისი დღენი? მართალია, დღეგრძელობას დღევანდელი ახალგაზდების თვალში ფასი არა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც ვიკითხოთ: აბა რომელ ახალგაზდას მოუტანია რამე ნაყოფი თავის ადრე მოსპობით?...

ეს წერილი გამოიწვია ერთმა შემთხვევამ. ამას წინეთ ერთ საპატიო მოხუც მამას ახალგაზდა მოსწავლე შვილი ჩამოუსვენეს სოფლად. მამა მოხარული იყო შვილის ნიჭით და სწავლით. ახალგაზდა ყმაწვილის არსებაში დაბადებულიყო აუხსნელი კითხვები, ჩავარდნილიყო სასოწარკვეთილებაში და თავზე ხელი აეღო... განსვენებულს ჩამოყვნენ ამხანაგები „დელეგატების“ სახელით და თითოეულს მათგანს ორ-ორ-სამ-სამი სქელ-სქელი რვეულებიც ჩამოეტანა „რეჩებით“ გატენილი. წამოაყენეს რეჩები გოლიათის თავით. ᲭᲘᲜᲙᲘᲡ ტანით და კუს ფეხებით. ბ.ბ. რეჩისტებს ერთად-ერთი სტოლი აკლათ, ზედ შესადგომათ და ღრაფინით წყალი პირის გასასველებლად. თელეს წასრული, გმეს აწმყო და აქარწყლეს მომავალი... თუ არ შევცდი, უფრო მორეჩენი მოეჩვენა. საბრალოდ, ვიდრე თვით განსვენებული...

როგორც სასულიერო ბეჭდვითი ორგანო, ისე პირად მეც ღმერთმა დაგვიფაროს წყევლისაგან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეტად ჩინებულად აქვს, თავის ადგილზე ბ. სილოვანს ნმთქვამი:

„დე, ცეცხლმა დასწვას ურგები
ᲢᲧᲔ-ᲕᲔᲚᲘ, ᲑᲐᲚᲐᲮᲗ ᲫᲘᲠᲔᲑᲘ!
ᲙᲕᲐᲚᲐᲓᲪᲐ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲓᲔᲑᲐ
ᲣᲤᲠᲝ ᲢᲣᲠᲤᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲘᲠᲔᲑᲘ“.

კირილე წუთისოფელი..

რედაქტორი, მღვდელი ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ.
გამომცემელი ᲘᲝᲡᲔᲑ ᲚᲔᲥᲐᲕᲐ.

ᲕᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑ
ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲘᲐᲙᲕᲜᲝ
ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲖᲔ,
ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲚᲚᲔᲑᲚᲘᲡ
ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ.
ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲙᲐᲖᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 17

6-й годъ издат. дѣятелн. 6-й

„НОВАЯ НИВА“.

Единственн. общедост. журналъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1910 г.

ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

52 №№ журнала	52 книги	52 приложенія

а именно:

12 книгъ: „НОВОСТИ ЛИТЕРАТУРЫ“.

12 книгъ полнаго собранія сочиненій ИВАНА СЕРГѢЕВИЧА Тургенева. 12

12 КНИГЪ: „ИЗБРАННЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ“ Некрасова, Надсона, Пушкина, Лермонтова, гр. Л. Толстого, гр. Ал. Толстого.

12 книгъ: „ВСЕМИРНАЯ БИБЛІОТЕКА“.

4 книги: САМОУЧИТЕЛИ: Нѣмецкаго и французск. языка, Самоучитель борьбы, и фехтованія, Самоучитель танцевъ и музыки.

52 фотогравюры Роскошный альбомъ въ золотомъ переплетѣ, послѣдней парижской выставки „САЛОНЪ“ исполненный по спеціальному заказу Редакціи въ Лейпцигѣ.

Календарь на 1910 годъ исполненный въ краскахъ.

Подписная цѣна на журналъ со всѣми приложеніями 5 р. съ доставкой и пересылкой во всѣ города 6 р. за границу 9 р.

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА.

Подписка принимается въ редакціи „НОВАЯ НИВА“ СПБ., Невскій, 76.

Издатель-редакторъ Н. А. Куриловъ.

(3—1)

Типографія Кутаисскаго религіоно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Кирищева